„ყველა ქვეყნის პროლეტარიანო, გაერთიანდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. ტ. ტ.
ფინან. და თბილისის
კომენტატების და
საერთო მეურვეთა
ორგანო

3 იანვარი
სამშაბათი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა
№ 4. რედაქცია ... ყოველ დღე
... მეშვ. დღ. 10 ს. — 2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476. მდივნის
№ 1 დესპერნო №

№ 2 სამშაბათი, 3 იანვარი, 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 3 იანვარი, 1922 წ. № 2

საბჭოთა არჩევნებისათვის

ციტატულიარულად.

ყველა სამაზრო კომიტეტებს

საქართველოს კ. პ. ტ. კ. საგანგებო საბრძოლავნდო განყოფილება ადგილობრივ ... ...

ბერლინით ისინი უკავშირდებიან რუს მრეწველებს... დაახლოებულნი დასავლეთ ევროპის სამრეწველო და ფინანსიურ წრეებთან ეს რუსი მრეწველები—კრემლის მოღვაწეების აზრით დაუკავშირებენ ამ წრეებს მოსკოვს და ამ უკანასკნელს ევროპას. თუ რუსი მრეწველები ამ სამსახურისთვის რაიმე სასყიდელს მიიღებენ საბჭოთა მთავრობისაგან—მაგიერათ ეს უკანასკნელი შესანიშნავათ ისარგებლებს თავისთვის შექმნილი მდგომარეობით. ის არა მარტო დაამყარებს ურთიერთობას დასავლეთ ევროპასთან, არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის ევროპის მრეწველების დახმარებით გამოსჭედავს თავისადმი ახალ დამოკიდებულებას ამ სახელმწიფოების მხრით, რომლებსაც ამდენ ხანს არ სურდათ მოსკოვთან ურთიერთობის დამყარება. ამნაირად საბჭოთა ხელისუფლება გამაგრდება პოლიტიკურად და „რამდენიმეთ ეკონომიურადაც...

ამავე გზას ეძებს საბჭოთა მთავრობა სხვა მიმართულებითაც: ის უშუალოთ მიმართავს ევროპას და ამერიკას. ამაზე მოწმობს მთელი ისტორია საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთის სახელმწიფოებრივი ვალების ცნობის შესახებ. და უნდა ვალიარო, რომ ამ მხრითაც მოსკოვის მთავრობამ მიაღწია დიდ შედეგებს. ერთი ნაწილი დღემდე შეურიგებელი საზოგადოებრივი აზრის საფრანგეთში, იბრძვის იქითკენ, რომ სინჯოს თუ რამდენად მოახერხებს მოსკოვი შეასრულოს თავის დაპირება. სხვა და სხვა პოლიტიკური და სამრეწველო წრეების ძალებით, საფრანგეთის მთავრობამ რამდენად შესცვალა თავის შეხედულება ვალების ცნობის შესახებ და იმ კონფერენციაზე, რომლის წინადადებას ძალოდა ჩიჩერინი...

ჩვენ მოწამენი ვხდებით ევროპასა და ამერიკის დიპლომატიის კურსის შეცვლისა რუსეთის საკითხში. ეძებს რა ბაზარს, ცდილობს რა გმირული ლონისძიებით შეანელოს კრიზისი, რომელიც ომის შემდეგ მძვინვარებს მთელ მსოფლიოში, ევროპა მიმართავს უკანასკნელ საშუალებას: ხელი მოჰკიდოს რუსეთის ბაზარს, რომლის იმედი მას ასე აქვს ციებ-ცხელებით შეპყრობილი ევროპის განსაკურნავად. ამდენ ხანს ეს სცადა ინგლისმა და იტალიამ და ეს ცდა დამარცხებით გათავდა"...

ასე სწერს მილიუკოვის გაზეთი. ალბად ამ დამარცხებით აიხსნება, რომ იტალიამ ხელი მოაწერა ამ დღეებში სავაჭრო ხელშეკრულებას რუსეთთან, რომ ინგლისი იწყებს ხელახლა მოლაპარაკებას მოსკოვთან ტ ითანხმებს ამაზე თვით შეურიგებელ საფრანგეთსაც. როგორც რადიო გადმოგვცემს, ამ მიზნით სულ ახლო მომავალში მიწვეულ იქნებიან ლონდონში ჩიჩერინი და ლიტვინოვი. ასეა თუ ისე, საბჭოთა რუსეთის ცნობა ახლოვდება და სამხედრო ფრონტებზე დამარცხების შემდეგ, ეს იქნება უკანასკნელი ომედის ჩაკვლა საზღვარ-გარეთ გაქცეულ კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციისთვის, რომლის ერთი მეთაურთაგანია მილიუკოვი და მისი გაზეთი.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

საქართველო

საბჭოს არჩევნები აჭარისტანში

ამ ჟამად წითელ აჭარის ყველა ადგილებში ხდება თემის საბჭოს არჩევნები.

არჩევნების წინასწარი კომპანიები წარმატებით ჩატარდენ. მიტინგებს ესწრებოდენ აჭარის მშრომელ გლეხობის დიდი მასები. ჰასუხის მგებელი ამხანაგი ორატორები თავის მოხსენებებში აუქებდენ საბჭოების დანიშნულებას და მიზნებს; ასინი აღნიშნავდენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია გაამტკიცოს ძმური კავშირი გლეხობასა და მუშებს შორის.

სიტყვებით გამოდიოდენ აგრეთვე თითონ გლეხები. ყველა კრებებზე საბჭოების შესახებ მოხსენებას ხვდებოდენ ალფრთოვანებით.

არჩევნები დასრულდა კახიბერის თემში. აქ საბჭოს გარდა აირჩიეს თემის რევკომი შემდეგი ამხანაგებისაგან: ხანი ზაქარაძე, ისააკ თევდორაძე და ახმედ ტარიალ-ოღლი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 800 მეტმა კაცმა.

ჭოროხის თემში არჩევნებს დაესწრო 250 კაცი. არჩეულია საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი. მუსულმანურ მასების ყალბი შეხედულებები და უვიცობა მორალურათ სასტიკათ დამარცხდენ: დადგენილია აჭარის საბჭოს ყრილობაზე აირჩიონ სათათბირო ხმით ორი მუსულმანი ქალი, მათ შორის ალი-ხასან კიზა.

ორთაბათომის თემში არჩევნებს დაესწრო 800 კაცამდი. არჩეულია საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

31 დეკემბერს შესდგა ბათომის საბჭოს სხდომა, მთელი რიგი საქმიანი საკითხების გასარჩევად, როგორიც არიან: ქალაქის მეურნეობა ახალი ეკონომიური პოლიტიკასთან დაკავშირებით, ახალი სატარიფო პოლიტიკა, საბჭოს უახლოესი ამოცანები, დამშეულთა დახმარება და სხვ.

მოხსენებით ქალაქის მეურნეობის შესახებ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით გამოვიდა ამხ. თავზარიძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოებმა აიღო ხელში მხარის და კერძოთ ბათომის მეურნეობა მეტად მძიმე პირობებში. სოფლებს ალარ გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რადგანაც დათესილი ყანების სივრცე ძალიან შემოკლებული იყო. ქალაქის მეურნეობაში ჩვენ დავდექით მუნიციპალიზაციის ნიადაგზე.

საბჭოების უახლოეს ამოცანების შესახებ მოხსენებებში აღნიშნეს ბინის საკითხის მოწესრიგების საჭიროება და სხვ.

მოხსენებების შესახებ საბჭომ მიიღო სათანადო რეზოლიუციები.

დაბოლოს მოახდინეს წითელ აჭარის საბჭოების ყრილობის დელეგატების არჩევნები. აირჩიეს 81 დელეგატი.

მიიღეს დადგენილება, რომ საბჭოს პლენუმი უნდა იკრიბებოდეს ორჯელ მაინც თვეში. დაადგინეს აგრეთვე მოსთხოვონ დამშეულთა დამხმარე კომისიას თავის მოქმედების ანგარიშები და შემდეგ შეუდგენ დახმარების ზომების გამომუშავებას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔ-9-Ე ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

მოსკოვი. 30 დეკემბერი, (რადიო). მოსკოვის გაზეთები მთელ რიგ წერილებში ჯამს უკეთებენ დასრულებულ საბჭოთა ყრილობის მუშაობას.

„ᲪᲐ. Ა. Კ. ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ".

„იფასებს რა ყრილობის გადაწყვეტილებებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში, ამხ. სტეკლოვი „უწყებებში" წერს: „რუსეთის მიწა-წყალის და ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების ამორჩეულთა ხმამ ერთხმად აღიარა სწორად ახალი პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები და დაადგინა განავითაროს ის დასახული მიმართულებით. ამასთან ერთად, მან მიიღო მთელი რიგი ზომები საბჭოთა აპარატის შესაფარდებლად ახალი ფუნქციების ასრულებისათვის, რომელნიც დაკავშირებულია ამ პოლიტიკის გამოყენებასთან, მათ შორის დასახა გადასვლა მტკიცე იურიდიულ წესრიგისაკენ,—საბჭოთა წესრიგისკენ—რათა მკვიდრი ბაზა დაუდვას ახალ სამეურნეო აღმშენებლობას და წაართვას ჩვენს მტრებს საბაბი მტრულ აგიტაციისათვის. ყრილობამ დაამყარა ორგანიული კავშირი მრეწველობის აღდგენასა და სასოფლო მეურნეობის აღორძინების შორის და სწორად შეაფასა ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსება, როგორც საშუალება გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებისა ფართე და მკვიდრი საფუძველის ჩაყრის ნიადაგზე სოციალისტური წყობილებისათვის".

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐ

ილებს ზომებს რეინის ოლქში გაფიცვების წინააღმდეგ. თუ გაფიცვა გავრცელდა, სამხედრო სარდლობა იმუქრება საალყო წესების შემოღებით რეინის ოლქში.

— რკინის გზელთა გაფიცვა ალმოსავლეთ გერმანიაში გავრცელდა მოიდესაც საადგილ-მამულო განყოფილება მიწის დეკრეტის განხორციელების საქმეს შეუდგა, მის წინ დადგა კითხვა: „საიდან და რა გზით დაიწყოს საქმე". უნდა ვთქვათ, რომ განყოფილება მაშინ გრძნობდა რაღაც უმწეო მდგომარეობას: მიწის რეფორმების ისტორიიდან მას ჰქონდა სტოლიპინის და შენშევიკების ცდანი, ხოლო რა ხდებოდა რუსეთში, რა გეგმით მიდიოდა საქმე, მან არ იცოდა, ვინაიდან მის ხელში არაფერი სათანადო ლიტერატურა არ იყო. გარდა ზევით ნაჩვენებ „положение"-სა, რომელიც მიუთითებდა კოლექტიურ მეურნეობისკენ, რაც მიულებელი იყო იმისთანა წვრილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთვის, როგორსაც საქართველო წარმოადგენდა. ამიტომ განყოფილებამ გადასწვიტა დაეწყო საქმე კერძო მეურნეობის მოწყობიდან უმიწაწყლო და მცირე მიწის პატრონთა შორის მიწის განაწილებით. ამ საქმის საფუძვლიანათ შესასრულებლათ-კი საჭირო იყო მასალა მიწის ფონდის და მცხოვრებთა აღრიცხვა. მასალის შეგროვებას-კი სჭირდებოდა დიდი წინასწარი შრომა, რასაც დრო-არ ითმენდა, ვინაიდან საჭირო იყო გლეხობის სასწრაფოთ დაკმაყოფილება მიწით. ორი კითხვა იშლებოდა განყოფილების წინ: ერთი მასალების შეკრება, ხოლო მეორე გლეხობის დაუყონებლივ დაკმაყოფილება. ამ კითხვების გადასაჭრელათ საადგილ-მამულო განყოფილება დაუყოვნებლივ შეუდგა უმიწაწყლოთა დაკმაყოფილებას, ასე ვთქვათ, თვალ და თვალ, რასაც უეველში უსწორ მასწორობა უნდა მოჰყოლოდა და რასაც რა თქმა უნდა დროებით მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ მუშაობას ვაწარმოებდით ადგილობრივი მიწის კომიტეტების და რევკომების დახმარებით. ხოლო იმავე დროს საჭირო მასალებს, გამომუშავებულ ანკეტების შემწეობით, ჰკრეფდენ განყოფილების აგენტები (უმეტეს ნაწილათ მიწის-მზომელებს).

უმიწაწყლოთა შორის მიწის დანაწილების დროს როგორც კომიტეტები, ისე რევკომების საადგილ-მამულო განყოფილება, თავის აგენტებთან ერთათ ხელმძღვანელობდნენ ეგრეთ წოდებულ „მოხმარებითი-შრომითი ნორმით" потребительно трудовая норма) რაც ნიშნავს მიწის იმ რაოდენობას, რომელიც უდრის ამა თუ იმ სოფლის საშუალო გლეხის ოჯახის ადგილ-მამულს. ეს ნორმა მიღებული იყო რუსეთში, და განყოფილებამაც უცვლელათ მიიღო.

მიწის მოწყობას განყოფილებამ დაუკავშირა გადასახლების საქმე. უკანასკნელი ისე ესმოდა განყოფილებას, როგორც მიწის მოწყობის ერთი სახე. მაგ. ვთქვათ რომელიმე სოფელი ისე მჭიდროთ არის დასახლებული რომ სულ პაწია ნორმაზედაც შეუძლებელია ლაპარაკი. მაშინ განყოფილება ამ სოფელს ან მის ერთ რომელიმე ნაწილს გადაასახლებდა თავისუფალ ადგილზე. რისთვისაც იგი ჯერჯერობით გადასახლების საქმეში აქტიურად არ ერეოდა, და ამ საქმეს აწარმოებდა იმდენათ, რამდენათაც გადასახლების მსურველნი თვითონ მიმართავდნენ მას.

ამ საქმეში მენშევიკების პოლიტიკა დიდათ განსხვავდებოდა ჩვენი პოლიტიკიდან. მენშევიკების ხელში გადასახლება თამაშობდა ნაციონალისტურ პოლიტიკის როლს, რომელიც მიმართული იყო უცხო ტომების წინააღმდეგ და სახეში ჰქონდა შეეჩერებინა არა ქართველების გაძლიერება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ მიზნით მათ სხვათა შორის ცხინვალის რაიონში დაასახლეს უმიწაწყლო გლეხები დასავლეთ საქართველოდან, რომ ამით ხელი შეეშალათ ოსების ბარზე ჩამოსვლისათვის.

რაც შეეხება კომუნების ან ამხანაგობების მოწყობას, განყოფილება, მასშიც აქტიურად არ ერეოდა, ვინაიდან, როგორც ზეით იყო ახსნილი ისინი მეორე რიგში იყვნენ ჩაყენებულნი. ხოლო ის კოლექტივები, რომელნიც თავისით დაარსდებოდნენ, განყოფილება მათ რეგისტრაციაზე უარს არ ეუბნებოდა, თუ არ ეწინააღმდეგებოდნენ დამტკიცებულ „ნორმალურ წესებს".

მუშაობა სწარმოებს მაზრის ფარგლებში. სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება, მიიღებს რა თავის აგენტებიდან შეკრებილ მასალას ყოველ ცალ-ცალკე სოფლებზე (შესახებ ნორმებისა, მცხოვრებთა რიცხვისა და მიწის ფონდისა) მიწის მომწყობის შემწეობით შეუდგება გეგმის გამომუშავებას მაზრის მასშტაბში. საქმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საშვალო ნორმას, რომლის მიხედვით შესწორდება ნორმების ცხრილი. მუშაობის შედეგს მოჰყვება სოფლების სამზღვრების შეწევ-გამოწევა. გეგმაში შევა აგრეთვე გადასახლებისთვის საჭირო მუშაობა.

მუშაობის გეგმა მოკლედ შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: 1) უმიწაწყლოთა შორის დროებით მიწების განაწილება; 2) მასალების შეგროვება შესახებ მიწის ფონდის და მცხოვრებთა რიცხვისა; 3) სხვა და სხვა სოფლების ნორმებიდან ცხრილის ედგენა და საშუალო ნორმის გამონა მუშაობისათვის, ახლა სწორ[illegible] მუშაობა [illegible] შაობა, [illegible] პროცესი. ფრთხილად ავწონ-[illegible] ნეთ რა ყველა გარემოებანი [illegible] შევდგავართ ჩვენი აღმშენებ[illegible] ახალ ზონაში. გვახსოვს, თუ [illegible] რავი სიძნელე გვიდევს ჩვენს [illegible] ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, [illegible] კვლავ დაგვესხან კაპიტალი[illegible] მტაცებლები. მაგრამ ჩვენ ყველ[illegible] დავთ და ვგრძნობთ, თუ [illegible] ლრმად გაიდგა ფესვები საბჭ[illegible] ლისუფლებამ, თუ რანაირ ახალ[illegible] მოუწოდა მან ცხოვრებისა [illegible] შაობისაკენ. და ამიტომ მხნე[illegible] ზავრებიან ამხანაგები ადგილ[illegible] ვად დაუძლეველია ჩვენი ნები[illegible] ვერავინ გამოგვლეჯს ჩვენს [illegible] ჩვენი მაგარი ხელებიდან!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲔᲜᲢ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ [illegible]

მოსკოვი 31 დეკემბერი (რა[illegible] 29 დეკემბერს კრემლში შესდ[illegible] ა. კომიტეტის ახალი შემადგენ[illegible] სესიის პლენუმის პირველი [illegible] სესიამ ერთხმად მიიღო ც. ა. [illegible] ტეტის პრეზიდიუმის შემდეგი [illegible] შემადგენლობა: ამხანაგები კალ[illegible] სტალინი, კამენევი, ტომსკი, რუდ[illegible] ვი, როგოვი, სმიდოვიჩი, ენუქიძე, [illegible] რუპა, პეტროვსკი, რაკოვსკი, კ[illegible] ლუტუზოვი, ზალუცკი, იაკო[illegible] კანდიდატები: ამხ. ვლადიმირსკ[illegible] სნოვსკი, სმილგა, კონ, ოვანე[illegible] სერებრიაკოვი, სოპრანოვი, სმირ[illegible] ოსინკი, ლუტოვინოვი, [illegible] და ანდრეევი. ც. ა. კ. თავმჯდომ[illegible] ერთხმად აირჩიეს ამხ. კალინინი. [illegible] დეგ სესია ამტკიცებს სახალხო [illegible] მისართა საბჭოს, რომლის თავმ[illegible] მარედ ერთხმად ირჩევენ ამხ. ლ[illegible] თავმჯდომარის მოადგილეებად [illegible] ციურუპას და რიკოვს.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲘᲪᲕᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

რომი, 1 იანვარი (რადიო). გერმანიის რკინის-გზელების ფედერაციამ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც დაიწყო ბერლინ-ჰამბურგის ხაზიდან.

საფრანგეთის სამხედრო სარდლობა

— „პრავდა" წერს: „ყველას, ვინც იყო ყრილობაზე ან წაიკითხა მისი ანგარიში, შეუძლია დაინახოს ფრიად დიდი განსხვავება იმას შორის, რაც ჩვენ გვქონდა და რაც ეხლა გვაქვს. პრაკტიკული გამოცდილების, საქმიანობის, ცოდნის და მმართვის უნარის უდიდესი ზრდა — აი რა გადაიშალა ჩვენ წინაშე. ჩვენ ბოლველად ვიწყებთ მეურნეობას და სისტემატიურად მმართვას მაშინ როცა წინეთ ჩვენ გვიხდებოდა პირველ ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა ბრძოლა, მტრის მოგერიება და განადგურება. ამიტომ, ყრილობის მთავარი მუშაობის ხასიათი რამოდენიმედ შეიცვალა. თუ წინედ გვიხდებოდა ორგანიზაციული ფორმების ძებ-

ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲘᲪᲕᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ავშირეთა ჯარების მიერ დაპ[illegible] ილქებშიაც. მოკავშირეთა კომ[illegible] ამოსცა ბრძანება, რომ ყველა მ[illegible] სხურე და მუშა დარჩეს თავის [illegible] ადგილას. გერმანიის რკინის გზ[illegible] კავშირის დელეგაციამ უპასუხა, [illegible] ი.ი. იძულებული იქნება პროტ[illegible] გნაცხადოს მუშებზე ძალმომრ[illegible] წინააღმდეგ. გზათა მინისტრმა [illegible] წიაფოდ შეკრიბა რკინის გზ[illegible] ორგანიზაციები ახალი მოლაპარ[illegible] ბისთვის. მდგომარეობას მეტ[illegible] ტად სერიოზულად სთვლიან.

[illegible] ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛᲘ*)

რუსეთში [illegible]ის მოწყობის საქმეში [illegible] ყანოების უმთავრესი [illegible] ფიციული იყო კომუნე[illegible] ურნეობის და სხ. კო[illegible] ეობისაკენ. ამ აზრმა [illegible] ამ საქმის ხელმძღვა[illegible] ნელი [illegible] სულ დააყენეთ [illegible] ნაწილი, რომელსაც [illegible] ერა კერძოთ, და არა [illegible] ფორმით. მართლაც და [illegible] კითხულობთ: „В положении о социалистическом землеустройстве и мерах перехода к социалистическому земледелию".

[illegible] 111. [illegible]ის მოწყობის საქმე [illegible]ის მაშტაბში. რიგს [illegible] ურეზე [illegible] ულდება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების თხზენით.

[illegible] 13. სამეწარმეო [illegible] ულდება შემდეგის რიგით; [illegible] სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისა, რომელნიც შესრულდებიან პირველ რიგში.

[illegible] 16. [illegible] ულებების შემდეგ, [illegible] ულნიც [illegible] ულ [illegible] ულ [illegible] ულ

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი

ჰენდერსონის განცხადება.

ლონდონი, 20 დეკემბერი. არტურ ჰენდერსონმა მუშათა პარტიის კონფერენციაზე დერბში განაცხადა: მუშათა პარტია მიისწრაფვის მტკიცედ დასახულ მიზნისაკენ: ძალა-უფლების გადაცემისაკენ მუშათა მთავრობის ხელში. სავსებით მართალი იყო ლოიდ ჯორჯი, როცა მან თქვა, რომ თუ ინგლისში მოხდება ხელისუფლების ცვლილება, ეს ენიშნება მუშათა პარტიის გამარჯვებას. ეხება რა ვაშინგტონის კონფერენციის საკითხს, ორატორი აცხადებს: უძლეველია ხანგრძლივი მშვიდობიანობა და შეიარაღების ნამდვილი შემცირება, თუ აღმოსავლეთი ევროპა, მანჯურია და ჩინეთი ეკონომიურ და პოლიტიკურ კონტროლ ქვეშ მოქცევიან, თუ რუსეთი ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობის გარეშე დარჩება, თუ გაგრძელდება გერმანიის არსებობა სოლატაკეში, თუ საფრანგეთი დარჩება ევროპის დიქტატორი. ჰენდერსონმა შემდეგ განაცხადა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი რუსეთის მძიმე მდგომარეობასა და სამრეწველო კრიზისს შორის, რომელმაც ინგლისი მოიცვა. რომ ხელისუფლებას სათავეში მუშათა პარტია ედგას, ინგლისი და რუსეთი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდნენ. ამავე კონფერენციაზე ტომასმა განაცხადა, რომ მუშათა პარტია ისწრაფვის გაერთიანოს ყველა მშრომელი ელემენტი. ტომასმა აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია დამალოს თავისი იმედების გაცრუება ვაშინგტონის კონფერენციის შედეგებში.

იაპონია

იაპონიის ჯარი.

ბერლინი, 31 დეკ. (რადიო. ტოკიოდან იუწყებიან, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა შეამოკლოს იაპონიის ჯარის რაოდენობა 50,000 კაცით, დაწყებული 1922 წლიდან.

იტალია

იტალიის ბანკის გაკოტრება.

ნიუიორკი, 31 დეკემბერი (რადიო). „იტალიანე დისკონტო" ბანკის გამგეობამ რომში ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, თხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს მორატორიუმის მოთხოვნის შესახებ. ბანკმა მთელ იტალიაში მოსპო თავის ვალების გადახდა.

რომი 31 დეკემბერი (რადიო). იტალიის მთავრობამ „იტალიანო დისკონტი" ბანკის კრიტიკულ მდგომარეობის გამო გამოაცხადა ნაწილობრივი მორატორიუმი ამ ბანკისთვის.

უნგრეთი.

ამნისტია უნგრეთში.

რომი. 31 დეკემბერი, (რადიო). უნგრეთის მთავრობამ გადასწყვიტა ამნისტია მიანიჭოს ყველას, ვინც დასჯილნი არიან კარლოს ჰაბსბურგის ტახტზე ასვლის გამო. ეს იგი იმათ, ვინც მონაწილეობას იღებდნენ მის კანონმბრძოლობაში, აღსადგენად. განთავისუფლებულ ნაბ ადამიანი.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი

ანკარის ბანკირების ... ლონდონ-ირლანდიის ...

ანკარა, 31 დეკემბერი, (რადიო). ... ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ... ირლანდიის ეროვნულმა კრებამ ... ლოიდ ჯორჯის სხდომაზე დააღგინა ... ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულება.

ლონდონი, 31 დეკემბერი, (რადიო). ... ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: არა ... ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების ... ...

ამხ. დ. ციმაკურიძე*)

1903 წლიდან ამხანაგი დათიკო ჩაება პარტიულ მუშაობაში. მას არ აშინებდა ნიკოლოზის მტარვალი აგენტები და მათი სახრჩობელები. 1905—1907 წლებში ამხანაგი დათიკო აწყობდა ორგანიზაციებს, მართავდა საიდუმლო კრებებს ნესტიან პადვლებში. მას იმდენი სიმპატია ჰქონდა მოპოებული თავის ამხანაგებში და საერთოთ ყველა მუშებში, რომ როდესაც სამსახურში დააგვიანდებოდა ამხანაგები ჰკითხულობდნენ, სად არის ჩვენი დათიკო. მე მახსოვს 1905 წელი. 29 მარტამობისთვეს ქალაქის სამართველოში იყო მოწვეული კრება ნებადართული ვარიანცოვდაშკოვისაგან. ამხანაგ დათიკომ იცოდა რა მიზანი ჰქონდა ამ ნებადართულ კრებას, მაგრამ მან მაინც არ დაიშალა, ვერ მოუთმინა გულმა და წავიდა კრებაზე ქალაქის სამართველოში. არ გაუვლია 2—3 საათს და ნიკოლოზის კაზაკებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის სამართველოს. დათიკომ როგორც იყო დაახწია თავი ჯალათებს და ჩაება ისევ არალეგალურ მუშაობაში, რაც გაგრძელდა 1917 წლამდე. 1917 წლიდან აშკარად მუშაობდა კომუნისტურ ორგანიზაციებში; მე მახსოვს, 1918 წელში მენშევიკებისაგან იყო დაპატიმრებული ოთხჯერ თუ ხუთჯერ. და დიდი გაჭირვება გადაიტანა. მას შემდეგ რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელის-უფლება და გამარჯვა კომუნისტურმა პარტიამ; ის იმდენათ გაიტაცა მუშაობამ, რომ დათიკოს დღე და ღამე სახლში თავის ცოლშვილთან ვერ ნახავდი. იმის სული და გული იყო მხოლოდ პარტიულ მუშაობაში. ყოველ დავალებას ამხანაგი დათიკო ასრულებდა ერთგულად. 1918 წელს 10 თებერვალს ალექსანდროვის ბაღში იყო მოწვეული საერთო კრება, რომელშიაც ჩვენი ამხანაგი დათიკო ღებულობდა მონაწილეობას, გულახდილათ და გულწრფელად ეუბნებოდა მუშებს: მუშა თავისივე ხელით უნდა განთავისუფლდესო. როდესაც სროლა აგვიტეხეს რამოდენიმე საუკეთესო ამხანაგები აღმოჩნდა მოკლული. ამხანაგი დათიკო გადარჩა სიკვდილს.

1921 წელს 20 ღვინობისთვეს ამხანაგი დათიკო იყო გაგზავნილი ამხანაგების დავალებით მოსკოვში მარშრუტით. ჩასვლისთანავე გახდა ავათ. შემდეგ იყო გადმოყვანილი ქალაქ რიაზანში რკინის გზის საავადმყოფოში. ბევრი ეცადნენ ეშველათ რამე მისთვის, მაგრამ სიკვდილმა გამოგვასალმა ჩვენი ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ამხანაგი დათიკო.

ამხანაგო დათიკო. შენ გამოგვესალმე ძველ ამხანაგებს უდროოთ, მაგრამ შენი სახელი დაუვიწყარი არის სამუდამოთ ჩვენ გულში.

დეპოს მუშა ს. ბოლქვაძე.

*) გარდაიცვალა ქ. რიაზანში 2-ს დეკემბერს.

ჩვენი კომუნალური მეურნეობა

ქალაქ თბილისის ბიუჯეტი

ქალაქ თბილისის მართვას შეუდგა თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო,—უშუალოდ თავის აღმასრულებელ კომიტეტის სახით.

მისმა წინამოადგილემ — ქალაქის რევოლიუციონურმა კომიტეტმა,— შეასრულა უდიდესი სამუშაო თბილისის ჯერ კიდევ მენშევიკების დროს უკიდურესად დანგრეულ უზარმაზარ მუნიციპალურ მეურნეობის მოსაწესრიგებლად. ეს მოწესრიგება გამოიხატა არა მარტო მთელი მეურნეობას აღრიცხვაში, არა მარტო მისი ცნობად მოყვანაში,—თუმცა თავისთავად ეს ამოცანა ფრიად დიდი და რთულია, ქალაქის რევკომმა გააკეთა მეტი: მან მოასწრო გადაყვანა ქალაქის მეურნეობის დაახლოებით სამი-მეოთხედი ახალ სამეურნეო-კომერციულ საფუძვლებზე და პრაქტიკულ შედეგებით შეემოწმებინა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამოყენების სასწორე კომუნალურ მეურნეობის სფეროში.

ადვილია იმ ამოცანების ჩამოყალიბება, რომელნიც დგანან კომუნალურ სოციალისტური ხელისუფლების წინაშე, ხოლო ძნელია გამონახვა მათი გადაჭრის მიზეზებისა, ჩვენი სინამდვილის პირობებში. პირველ ყოფილისა აქ იბადება კითხვა საშუალებების შესახებ, თავის მუშაობის ქალაქის რევკომმა საფუძვლად დაიდო მეტაფიზიკური პრინციპი: ქალაქის მეურნეობა ტვირთად არ უნდა დააწვეს სახელმწიფო ბიუჯეტს, ოსელიც ... ჯერ-ჯერობით უმთავრესად ქალალდის ფულის გამოშვებით; ქალაქის მეურნეობამ არამც თუ თავისი-თავი უნდა შეინახოს, არამედ მოგვცეს მაშუალებაც ქალაქის მოსახლეობის მრავალნაირი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ქალაქის მეურნეობის თვით აყვავება, მასთან ერთად ქალაქის ცხოვრების „სიკეთეთა“ ზრდა (სინათლე, წყალი, კანალიზაცია, მიმოსვლის საშუალებანი, საბინაო პირობები და სხვა) წარმოუდგენელია, თუ განუწყვეტლად და ინტენსიურად არ შემოვა საღსარი ქალაქის სალაროში.

საბჭოთა ხელისუფლება კომუნალურ პოლიტიკის სფეროში უდიდეს მიზნებს ისახავს, როგორც ყველასფერშიაც, მაგრამ როგორც ფხიზელმა და რეალურ ნიადაგზე მდგომ ხელისუფლებამ, მან იცის, რომ ამ ჟამად მიმდინარე დღის წესრიგში დგას ქალაქის მოსახლეობის ფართე მშრომელ მასსების ფრიად ელემენტალურ, ფრიად უბრალო მოთხოვნებათა დაკმაყოფილების საკითხი. ამ მოთხოვნებათა დასაკმაყოფილებლად უნდა იქმნას გამოყენებული საშუალებათა ყველა წყაროები, რომელიც გააჩნია ქალაქის ხელისუფლებას დღევანდელ დროს.

თბილისის ქალაქის რევკომმა მოამზადა ნიადაგი თავისი საშუალებათა წყაროებისათვის. თავისი უკვე გეგმაშეწონილ ბუჯეტი, ოსელიც ... ...